კულტურის კვლევები

(ბაკალავრიატი)

1. **ძირითადი ცნებები და ტერმინები კულტურის მეცნიერებებში**
   Main Terms and Concepts in Cultural Studies
   კურსის მიზანია სტუდენტები გაეცნონ იმ ძირითადი ცნებებისა და ტერმინების შინაარსს, რომელთა გამოყენება მოუხდებათ კულტურის მეცნიერებათა სფეროში სხვადასხვა დისციპლინის შესწავლის დროს. სტუდენტმა უნდა გაიაზროს, რატომ უხდებათ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებს სარგებლობა სამუშაო (ოპერაციული) დეფინიციებით, რა უდევს საფუძვლად ამ დეფინიციათა შერჩევას.

2. **გლობალიზაცია და ლოკალური კულტურები**
   Globalization and Local Cultures
   კურსის მიზანია სტუდენტი გაეცნოს გლობალიზაციის არსის გააზრებას, მისი კვლევისას კულტურის ასპექტებზე ყურადღების გამახვილებას. კულტურის გლობალიზაციის გამოწვევების, დასავლურ და არადასავლურ კულტურებში მიმდინარე პროცესების გაანალიზებას. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში მცირე კულტურების, მათ შორის ქართულის, ადგილის წარმოდგენას.

3. **ინტერკულტურული დიალოგის პრინციპები**
   Foundations of Intercultural Dialogue
   კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხთან - ინტერკულტურულ დიალოგთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. კურსში გაანალიზებულია ინტერკულტურული დიალოგის არსი და თანამედროვე მსოფლიოში მისი აქტუალიზაციის განმაპირობებელი მიზეზები, ცივილიზაციათა დიალოგისა და ცივილიზაციათა ალიანსის ინიციატივა. ინტერკულტურული დიალოგის როლი თანამედროვე მსოფლიოს პრიორიტეტების - კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და კულტურული უსაფრთხოების - დაცვაში.

4. **ისტორიის აღქმა და რეპრეზენტაცია. მეხსიერების პოლიტიკა**
   Perception and Representation of History. Politics of Memory
   კურსის მიზანია, აღჭურვოს სტუდენტები ცოდნით სხვადასხვა კულტურებში ისტორიის ორგანიზების, წარსულის დამახსოვრებისა და აღქმის თავისებურებათა შესახებ, გააცნოს მათ მეხსიერების კვლევათა სფეროში არსებული ძირითადი ცნებები და თეორიები, აჩვენოს წარსულიდან დასამახსოვრებელი ინფორმაციის შერჩევისა და ინტერპრეტაციის სოციალური და კულტურული განპირობებულობა, დაანახოს ისტორია როგორც ინტერპრეტაცია.

5. **საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაცია (IV – XI სს)**
Cultural and Political Orientaions of Georgia in 4th–11th centuries
კურსის მიზანია გავაცნოთ სტუდენტებს თანამედროვე რეალიებიდან გამომდინარე პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის პრობლემები, კულტურათა და ცივილიზაციათა მიჯნაზე მყოფ საქართველოს მაგალითზე. როგორ გაიაზრებოდა პოლიტიკური და კუტურული ორიენტაციის საკითხები XVIII-XIX სს ქართულ საზოგადოებაში, როგორი იყო ის მარკერები, რომლებიც საქართველოს კულტურის ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე (ანტიკურობა, ადრექრისტიანული ეპოქა, ადრეფეოდალური ხანა) განსაზღვრავდა კულტურულ და პოლიტიკურ ორიენტაციებს, ეროვნულ იდენტურობას.

6. **კულტურა და იდენტობა**
Culture and Identity
კურსის მიზანია, სტუდენტს წარმოდგენა შეუქმნას ზოგადად იდენტობის, კონკრეტულად კი, კულტურული იდენტობის ცნებაზე, მის მნიშვნელობაზე, კულტურის სხვადასხვა ელემენტთან მიმართებაზე, იმ უფართოეს კონტექსტზე, რომელშიც იდენტობის ცნება გამოიყენება.

7. **კულტურა ისტორიული კვლევის ობიექტი (ქართული კულტურის ისტორია)**
Culture – The Object of Historical Research (History of Georgian Culture)
კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს კულტურასთან, როგორც ისტორიული კვლევის ობიექტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. კურსში გაანალიზებულია კულტურის ფენომენი და თანამედროვე მსოფლიოში მისი აქტუალიზაციის განმაპირობებელი მიზეზები, კულტურის კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათი, მისი შესწავლის აუცილებლობა ისტორიის კვლევის ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით.

8. **ლოკალურ ცივილიზაციათა თეორია და მსოფლიო ისტორია**
Theory of Local Civilizations and World History
კურსის მიზანია სტუდენტს შეექმნას წარმოდგენა მსოფლიო ისტორიის სხვადასხვაგვარი გააზრების ტრადიციის, თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომების შესახებ. გაეცნოს ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიის კლასიკოსთა უმთავრეს ნაშრომებს, გაიაზროს ამ მიდგომის აქტუალურობა თანამედროვე ეტაპზე.

9. **ნაციონალიზმის კულტურული ასპექტები**
Cultural Aspects of Nationalism

კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს ნაციონალიზმის ძირითადი თეორიული ინტერპრეტაციები, მათი ტიპოლოგია და კლასიფიკაცია, საკითხის ინტერდისციპლინური კვლევის გამოცდილება და მნიშვნელობა.

10. **ოქროს ხანის ქართული კულტურა: მიმართება აღმოსავლურ მუსლიმურ და დასავლურ სამყაროსთან**
Golden Age Georgian Culture: Between Eastern Moslem and Western Spaces

კურსის მიზანია, სტუდენტს გააცნოს „ოქროს ხანად“ წოდებული ისტორიული პერიოდის/ეპოქის არსი, XI-XIII საუკუნისქართულიკულტურის თავისებურებანი. რა მნიშვნელობა იქონია „ოქროს ხანამ“ ქართველთა თვითიდენტიფიკაციის პროცესზე. რა გავლენა განიცადა ქართულმა კულტურამ აღმოსავლურ მუსლიმურ და დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობაში. რას ნიშნავს „რენესანსი“ და რა საფუძვლები აქვს „აღმოსავლური რენესანსის“ თეორიის არსებობას როგორ და რატომ გაჩნდა ერთიანი კავკასიის იდეა

11. **კულტურული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში**
Cultural Transformation in the Post-Soviet Georgia
სასწავლო კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართული კულტურის ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები და განვითარების თავისებურებები, მათი მიმართება თანამედროვე საქართველოს წინაშე არსებულ პრობლემებთან და გამოწვევებთან.

12. **საქართველოს კულტურა საბჭოთა პერიოდში: ძირითადი მახასიათებლები**
Georgian Culture in the Soviet Period: Main features
კურსის მიზანია სტუდენტებს შეექმნათ წარმოდგენა ტოტალიტარიზმის, "საბჭოთა ცივილიზაციის" და, კონკრეტულად, ქართული საბჭოთა კულტურის თაობაზე, კულტურული პროცესების მართვის ზოგად პრინციპებსა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციაზე საბჭოთა პერიოდში.

13. **ამერიკის შეერთებული შტატების კულტურა. ფორმირებისა და განვითარების თავისებურებები**
USA Culture: Peculiarities of Formation and Development
კურსის მიზანია, გაანალიზოს აშშ კულტურის ჩამოყალიბების სპეციფიკა, ეკლექტური საზოგადოების ერთიან კულტურულ სივრცედ ტრანსფორმაციის პროცესი. აშშ კულტურასთან მიმართებაში განხილული იქნება კულტურის მეცნიერებებში გამოყენებული ტერმინოლოგია, პირველ რიგში, ის ცნებები, რომლებიც აშშ-ში მიმდინარე კულტურული პროცესების შესწავლის შედეგად შევიდა კულტურის მეცნიერებებში. გაანალიზებული იქნება აშშ-ში კულტურული იდენტურობის პრობლემა, ამერიკანიზაციისა და გლობალიზაციის უკუგავლენა აშშ კულტურაზე.

14. **საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური გარემოცვის ცვლილება XIX საუკუნეში**
Transformation of the Cultural/Civilizational Environment of Georgia in the 19th Century
კურსის მიზანია სტუდენტი გაეცნოს საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური გარემოცვის ძირეულ ცვლილებას, რომელმაც განსაზღვრა ქართული კულტურის განვითარების ძირითადი მიმართულება მომდევნო პერიოდისათვის; ახალი ადაპტაციური მექანიზმის შემუშავების პროცესსა და სირთულეებს; ქართული კულტურის ძირითად მახასიათებლებს XIX საუკუნეში და მისი განვითარების თავისებურებებს.

15. **ქართული კულტურის განვითარების თავისებურებანი აღმოსავლურ-მაჰმადიანური გარემოცვის პირობებში (XVI-XVIII სს.)**
Georgian Culture in 16th-18th centuries: Peculiarities of the Development
კურსის მიზანია XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოში მიმდინარე კულტურული პროცესების შესწავლა სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, იზოლაციაში მყოფი ქვეყნის კულტურული განვითარების თავისებურებების გააზრება, კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციის ძიების სირთულეთა ახსნა.

16. **დასავლური კულტურის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები**

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს, გააცნოს სტუდენტებს დასავლური აზროვნების ევოლუციის გზები, დასავლური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ეტაპები, გააცნოს განსხვავება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია დასავლეთის მსოფლმხედველობაში ნაციონალური და კოსმოპოლიტური იდეების დაპირისპირების პროცესებზე შუა საუკუნეებსა და აღორძინების ეპოქაში.